USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №8
მაისი 1 - ივნისი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

საგანგებო მდგომარეობა და საკონსტიტუციო ცვლილებები

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, 21 მარტს ქვეყანაში 21 აპრილის ჩათვლით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.[1] 22 აპრილს, პარლმენტმა დაამტკიცა პრეზიდენტის დეკრეტი[2] და ეს ვადა კიდევ ერთი თვით გაახანგრძლივა. 23 მაისიდან, დეკრეტის მოქმედების ვადის გასვლასთან ერთად გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა, თუმცა შეზღუდვების ნაწილი შენარჩუნდა.[3]

საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ განახლდა კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი. მუშაობა განაახლა საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ.[4] საქართველოს პარლამენტის წევრის, ირაკლი კობახიძის თქმით გაიმართება საყოველთაო-სახალხო განხილვები და სავარაუდოდ, კანონპროექტის სამი მოსმენით განხილვა 29 ივნისს დასრულდება.[5]

საია იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს პარლამენტი დროულად დაამტკიცებს.

პრეზიდენტის შეწყალების აქტი

15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა განცხადება ირაკლი ოქრუაშვილისა და გიგი უგულავას შეწყალების შესახებ.[6] პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას,

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Vl-CbFp, განახლებულია: 02.06.2020.

[2] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35EaInp, განახლებულია: 02.06.2020.

[3] ,,ირაკლი ჩიქოვანმა 23 მაისიდან მოხსნილ და დატოვებულ შეზღუდვებზე ბრიფინგი გამართა“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 22.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2z3ZiNJ, განახლებულია: 06.05.2020.

[4] ,,საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვა სატელევიზიო ფორმატში, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაიმართება”, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი: 01.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dwGUvZ, განახლებულია 02.06.2020.

[5] „ირაკლი კობახიძის განცხადებით, პანდემიის გამო, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო სახალხო განხილვა სატელევიზიო ფორმატში გაიმართება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 11.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2MraoiR, განახლებულია: 02.06.2020.

[6] „პრეზიდენტმა უგულავა და ოქრუაშვილი შეიწყალა”, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Mq5yT2, განახლებულია: 02.06.2020.

რომ იგი არ იწყალებს პოლიტპატიმრებს და ეს აქტი არ ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიას, ის იწყალებს დამნაშავე პოლიტიკოსებს.[7]

ამას წინ უძღვოდა ოპოზიციის განცხადებები[8] და საქართველოში პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების მიერ გაკეთებული მოწოდებები ხელისუფლების მიმართ 8 მარტის შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით.[9]

ოპოზიციამ ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა 8 მარტის შეთანხმების შესრულებისკენ და გამოთქვა იმედი რომ გიორგი რურუას გათავისუფლებაც მალე მოხდება, ხოლო ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტი მიიღებს შეთანხმებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს.[10]

აშშ-ის საელჩომ და ევროკავშირის ელჩებმა იმ დღესვე გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ისინი მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებას და მიიჩნევენ რომ ეს იყო 8 მარტის შეთანხმების შესრულებაში შეტანილი უმთავრესი წვლილი.[11] ისინი კვლავ მოუწოდებენ ყველა მხარეს, „სრულად განახორციელონ შეთანხმება მისი შინაარსის და სულისკვეთების დაცვით".[12]
პრეზიდენტ ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას ასევე გამოეხმაურნენ ევროპარლამენტის წევრებიც. ევროპარლამენტარი და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარე ანდრიუს კუბილიუსი ამ ფაქტს ტვიტერით გამოეხმაურა და სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი უწოდა.[13] ევროპარლამენტისა და DEG-ის (დემოკრატიის მხარდაჭერისა და არჩევნების კოორდინაციის ჯგუფი) წამყვანმა წევრმა ვიოლა ფონ კრამონმა ასევე დადებითად შეაფასა მოვლენების განვითარება და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ,,გადამწყვეტი ნაბიჯი" უწოდა სწორი მიმართულებით.[14]

ქსელური შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან

14 და 21 მაისს საიამ გამართა ონლაინ შეხვედრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო წინასაარჩევნო გარემოს განხილვა და დარღვევების გამოვლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. პარტიის წარმომადგენლების თქმით, პანდემიის სიტუაციის გამო პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვნად არის შეფერხებული და ერთგვარი „პოლიტიკური პაუზაა" ქვეყანაში. მათ ძირითადად ისაუბრეს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებულ გამოწვევებზე, როგორიცაა, ამომრჩევლის ნების კონტროლი, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, ახალი პოლიტიკური პარტიების ინკლუზიურობა და სხვა.

საია აგრძელებს მუშაობას საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ <u>მიზნით, საია</u> ჩართულია ,,ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის Task Force"-ის მუშაობაში, სადაც

[7] იქვე.
[8] „ოპოზიცია „პოლიტპატიმართა გათავისუფლების" გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 13.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XXwEGE, 02.06.2020.
[9] „პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება (11 მაისი)", ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 11.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gNveql, განახლებულია: 02.06.2020.
[10] „ოპოზიციური პარტიები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ - ვიმედოვნებთ, გიორგი რურუა საპატიმროს მალე დატოვებს, შემდეგ კი პარლამენტი შეთანხმებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიღებს", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 18.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XWE4K1, განახლებულია: 02.06.2020.
[11] „საქართველოში პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება (15 მაისი)", ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XvzvHU, განახლებულია: 02.06.2020.
[12] იქვე.
[13] „ნაბიჯი სწორი მიმართულებით" – კუბილიუსი უგულავას და ოქრუაშვილის შეწყალებაზე", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gNHgjM, განახლებულია: 02.06.2020.
[14] „ეს იყო ძალიან მნიშვნლოვანი ნაბიჯი სწორი მიმართულებით – კრამონი შეწყალებაზე", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cvgt8L, განახლებულია: 02.06.2020.

განიხილება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მექანიზმები. დროებითი გენდერული კვოტირების შემოღება ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით არის საია-ს ერთ-ერთი რეკომენდაცია საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში.

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის კანონპროექტის ინიცირებასთან ერთად, ორგანიზაცია წარმოადგენს ამ და სხვა რეკომენდაციებს.

საია იმედოვნებს რომ შემოთავაზებული კანონპროექტი უპასუხებს არსებულ გამოწვევებს და საარჩევნო კანონმდებლობა უფრო ხელსაყრელი გახდება.